ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ნეოგრეცისტიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის (კატეგორია "ა) სამსახურში მისაღებად რექტორის 2020 წლის 09 ივლისის N128/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 21 ივლისის N68/2020 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

№4 ოქმი

ქ. თბილისი, 11 სექტემბერი, 2020

15.00 საათი, თსუ 1 კორპუსი, აუდიტორია №309

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრიდან 4 წევრი:

1 სოფიო შამანიდი

2. თინა დოლიძე

3. მანანა ფხაკაძე

4. ეკატერინე დუღაშვილი

დღის წესრიგი:

1. კომისიის მდივნის არჩევა;
2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის (კატეგორია "ა) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.

3. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

1. თსუ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული კომისიის მდივნის, რუსუდან ცანავას შვებულებაში ყოფნის გამო, საჭირო გახდა სხდომის მდივნის არჩევა. კომისიამ მდივნად ერთხმად აირჩია მანანა ფხაკაძე.
2. კომისიის თავმჯდომარის, სოფიო შამანიდის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

   ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის **სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში, ნეოგრეცისტიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის (კატეგორია "ა")** 1 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 2 კანდიდატმა - თეა გამრეკელმა და მედეა აბულაშვილმა.

თეა გამრეკელმა შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №2).

მედეა აბულაშვილმა შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV

კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №2).

გასაუბრების ეტაპზე კონკურსანტი თეა გამრეკელი არ გამოცხადდა.

გასაუბრებაზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის მედეა აბულაშვილის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. ასევე, ესაუბრა პრეტენდენტებს დარგის განვითარების სპეციფიკაზე და მათ გეგმებზე.

კონკურსანტს შეკითხვები დაუსვეს სოფიო შამანიდმა, თინა დოლიძემ, მანანა ფხაკაძემ, ეკატერინე დუღაშვილმა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მედეა აბულაშვილის კანდიდატურა არის მაღალკვალიფიციური (იხ. ოქმი №3). მედეა აბულაშვილის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევების კონცეფცია, ასევე მისი ხედვა დარგის განვითარებისა მისაღებია ნეოგრეცისტიკის კათედრის პოლიტიკისთვის. მედეა აბულაშვილის ხედვა აქცენტირებულია დარგის პოპულარიზაციაზე, სტუდენტების მოზიდვაზე, ნეოგრეცისტიკის სფეროს საზოგადოების ფართო წრეებში გატანაზე, სტუდენტებში მოტივაციის გაზრდაზე, რასაც იგი შესაბამისი სამეცნიერო კვლევების ჩატარებით, სხვადასხვა პროექტის განხორციელებით და საზოგადოებასთან აქტიური მუშაობით აპირებს. (იხ. დანართის სახით აუდიო - ვიდეო მასალა).

ასევე, აღსანიშნავია, რომ მედეა აბულაშვილი მრავალრიცხოვანი კვლევის ავტორი, საერთაშორისო პროექტებისა და კონფერენციების მონაწილეა.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (4 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი მედეა აბულაშვილის კანდიდატურას.

დაადგინეს: ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის (კატეგორია "ა") 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა: მედეა აბულაშვილი.

კომისიის თავმჯდომარე:

მოადგილე:

წევრები:

კომისიის მდივანი:

თარიღი:

11.09.2020